მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10 – 11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული, ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11 28.

№ 17 | 1883—1899 | 15 სექტემბერი

„მლოცველები მთელი ღამე ცეკვავდნენ, მღეროდენ და დროს ატარებდნენ“.

ბაზეთ „კავკაზ“-ში ჩვენ ვკითხულობთ შემდეგ შენიშვნას:

„კვირას, 15 აგვისტოს, ღვთისმშობლის მიძინების დღეს სიონის საკათედრო ტაძრის დღესასწაული იყო. დღესასწაულის წინა დღით საქართველოს ექსარხოსმა ფლაბიანემ უმაღლესი და ტაძრის სამდგომლოების თანამსახურობით შეასრულა მწუხრის ლოცვა ცისკრითურთ. მლოცველებით სავსე იყო ტაძარი და გალავანი. მრავალი მლოცველები დარჩნენ ტაძრის გალავანში დილამდის; აქ ისინი მღეროდენ, მხიარულებდნენ და ცეკვავდნენ“.

მე თვალ-ყურს ვადევნებ ყველა გაზეთებს, როძელნიც შენიშვნებს წერენ ტაძრის და მონასტრის სხვა და სხვა დღეობების შესახებ. ამ შენიშვნების ავტორნი ჯერ აუწერენ მკითხველს, თუ რა დიდის ამბით შესრულებულ იქმნა ღვთის-მსახურება, შემდეგ დასძენენ, რომ დიდძალი მლოცველები დაესწრო ტაძარშიო და ბოლოს თავის შენიშვნებს ამ სიტყვებით ათავებენ: „მლოცველები თითქმის მთელი ღამე ცეკვავდნენ და დროს ატარებდნენო; დღეობამ წესიერად ჩაიარა და არაფერი უწესობა არ მომხდარაო“.

შეიძლება ეს და ამის მსგავსი სიტყვები არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენენ შენიშვნების დამწერზე და ჩვენი დროის ზოგიერთ ქრისტიანებზე, მაგრამ ჭეშმარიტ მორწმუნე ქრისტიანეზე ამგვარი სიტყვები ძლიერ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენენ. შეიძლება ამაზე ზოგი არ დაგვეთანხმოს

და გოცებული დაგვეკითხოს: რატომ უნდა იქონიოს ასეთმა შენიშვნებმა ცუდი გავლენა მორწმუნე კაცზე? აი რატომ: მლოცველები დღესასწაულობდნენ თავისი ტაძრის წმიდანის სახელს, ათევდენ ღამეს, მაგრამ მთელი ღამე ლოცვა-ვედრების ნაცვლად ცეკვავდენ და სვამდენ?! აი ეს უკანასკნელი საქციელი ზოგიერთი ჩვენი მლოცველებისა და ამ შენიშვნების ავტორთა ვერ გაგვიგია! აქ ორში ერთი უნდა ვიფიქროთ; ალბად ამ სტრიქონებს სწერენ ისეთი პირნი, რომელთაც სურთ, რაც შეიძლება ბევრი დასწერონ, რომ უფრო ბევრი მიიღონ სტრიქონების გამოანგარიშებით, ან და ამ შენიშვნების ავტორნი ვერ არჩევენ ჭეშმარიტ მლოცველებს იმ პირთაგან, რომელნიც მხოლოდ იმიტომ მიდიან ტაძრის დღეობებზე, რომ, რაც შეიძლება, ბევრი იმთვრალონ და ტაძარში ლოცვას კი არ დაგიდევენ. ორივე შემთხვევაში მსგავსი შენიშვნების ავტორთა საქციელი დიდ ლაქს სცხებს ყოველ დრო-გამოშვებითი გამოცემას. ეს შენიშვნები თვალსაჩინოთ ამტკიცებენ, თუ რა მასალით ჰკვებავენ ხსენებული გამოცემანი თავიანთ მკითხველებს.

ამ ბოლო დროს ჩვენში თავი იჩინა ერთგვარი ჯურის კაცებმა, რომელნიც ნამდვილ ფაქტებ ამახინჯებენ თავიანთი ფარული მიზნების მისაღწევად; მსგავსი მწერლები მხოლოდ იმას აქცევენ ყურადღებას, რაც მოსაწონი არ არის, და ჩვენი ხალხის ცხოვრებაში რაც მოსაწონია, იმას კი განგებ უკუღმართად აჩვენებენ. შეიძლება ზემო აღნიშნული შენიშვნების ავტორნი ეკუთვნოდნენ სწორეთ ისეთ პირთ, რომელნიც ნამდვილ მლოცველებს თავს ანებებენ და მარტო ისეთებს იხსენიებენ. რომელნიც მარტო მთვრალობაში ატარებენ დროს, რომ ამით დაგვცინონ და სხვათ შეატყობინონ, თუ როგორი მლოცველები არიან ჩვენში. სამწუხაროდ, ჩვენც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენში ტაძრის დღეობებზე მლოცველების უმეტესობა შეუფერებელ დროების ტარებას ეძლევა და ტაძარში ლოცვა არ აგონდება. მაგრამ ვინ არის ამაში დამნაშავე?!... თუ ჩვენი ქართველი ხალხის სარწმუნოებრივ მატიანებს გადავშინჯავთ, ჩვენ იქ იმას ვერ შევნიშნავთ, რაც დღეს ხშირი მოვლენაა ჩვენი ტაძრების დღესასწაულობის დროს. უწინდელს დროში მლოცველები მიდიოდნენ ტაძრის დღეობებზე ლოცვა-ვედრებისათვის და არა თამაშობისა და მთვრალობისათვის. ამ სამწუხარო მოვლენას ვხედავთ ჩვენში მარტო ამ ბოლო დროს, მაგრამ არა ყველა მლოცველებში. მრავალი მლოცველები თვითონ დიდი წინააღმდეგნი არიან მსგავსი სამწუხარო მოვლენისა, რომელიც ამცირებს დღეობების დიდ მნიშვნელობას, მაგრამ მათი ხმა რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა", ვინაიდგან ნება არა აქვსთ, რომ მოქეიფეთ აღუკრძალონ ტაძრის და მონასტრების გალავანში უწესო საქციელი და მთვრალობა!.. ეს უფლება მინიჭებული აქვსთ სულ სხვა პირთ... თუ კი ადმინისტრაცია ნებას აძლევს არგნების და დაფა-ზურნის დაკვრისას, ამ საკრავების ხმაზე მოთამაშეებიც გამოჩნდებიან ხოლმე. მაშ დღეს თვითონ სამღვდელოებამ უნდა აღიმაღლოს აქ ხმა. თუმცა ბევრს ადგილას კიდეც ებრძვის სამღვდელოება ამგვარ უწესო საქციელს. ამის მშვენიერი მაგალითი გვიჩვენა ამ დღეებში თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორმა არქიმანდრიტმა მ. გერმოგენმა, როცა თბილისის მახლობლად აკურთხეს ერთი მონასტრის ახლად განახლებული ეკლესია. ამ დღესასწაულობის დროს ზოგიერთმა პირებმა ითხოვეს გარმონის დაკვრისა და დროების გატარების ნება, მაგრამ მათ გადაჭრილი უარი უთხრა მან. ამ უარის თქმას არავითარი უსიამოვნება არ გამოუწვევია, პირიქით ეს პირნი დიდი მადლობელნი დარჩენ მ. რექტორისა. ასეთი შედეგი ექნება ყველგან სამღვდელოების სიტყვიერ დარიგებას, მაგრამ უპირველესად საჭიროა, რომ ამ შემთხვევაში თვითონ სამღვდელოებამ შესაფერი მაგალითი უჩვენოს მლოცველებს, ვინაიდგან ცხოველი მაგალითი დიდათ მოქმედებს კაცზე...

დეკ. დ. დამბაშიძე.

სად და როგორ იზრდებიან ჭეშმარიტნი მწყემსნი?

მღვდელ-მოსამსახურის შვილი მშობლების სახლში სწავლობს ღვთის ვედრებას დედ-მამის ცხოველი მაგალითების მიხედვით და არა უგულო გაკვეთილების შესწავლით. კეთილმორწმუნე მღვდელს, რომელიც კეთილ-კრძალულებით ემსახურება ღვთის ტრაპეზს, სახლშიაც, თავის ოჯახში, მუდამ თვალწინ უდგია ღმერთი, მას მუდამ ახსოვს თავისი მწყემსური მოვალეობა და ხშირი ლოცვა-ვედრებით იგი უმეტესად მოქმედებს თავის შვილებზე. დედ-მამის კეთილი მაგალითები და ქრისტიანული ცხოვრება უფრო ძლიერად მოქმედებენ მათ პატარა შვილებზე, ვინემ თვით გულმოდგინე და მრავალკეცი გამოკვლევანი სარწმუნოების შესახებ. აგერ მღვდელი ადგა ყველაზე ადრე და დაიწყო ლოცვა. ბავშები, რომელნიც ერთი მეორის შემდეგ იღვიძებენ, ვერ ბედავენ ხმამაღლა ლაპარაკს და ეშმაკობას, რომ ხელი არ შეუშალონ მამას. „მამა ლოცვილობს, კითხულობს საღმრთო წიგნებს, წირვისათვის ემზადება“,—ჩუმათ ელაპარაკებიან იგინი ერთი მეორეს. ლოცვის შემდეგ მღვდელი ემზადება ეკკლესიაში წასასვლელად. თუ მღვდლის შვილი, 7—10 წლის ყმაწვილი, წინა დღით იყო გამგონე და კარგად იქცეოდა, მამას მიჰყავს იგი ტაძარში და შეჰყავს ტრაპეზში. ყმაწვილისათვის სასიამოვნოა ტრაპეზში დგომა: აქ ის ხედავს ყოველივეს, რაც სრულდება; მაგრამ მისთვის სამძიმოც არის ტრაპეზში დგომა: აქ ყმაწვილს არ შეუძლია განძრევა, იქით-აქეთ მისედვ-მოხედვა და ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადასვლა; იდექ და ილოცე: ამას თხოვილობს მამა, ამას ითხოვს ტრაპეზის სიწმინდე. აქ ყმაწვილი თვალ-ყურს ადევნებს მამის ღვთისადმი სამსახურს და კეთილ-კრძალულებით მიხრა-მოხრას და ვედრებას უხილავად იქ მყოფ მაცხოვრისადმი, ყმაწვილი ხედავს მღვდელ-მოსამსახურეთა ბრწყინვალე პირის სახეს. ყოველივე ამის მხედველი ყმაწვილი, რასაკვირველია, შემდეგში შეიქნება ისეთივე მღვდელი, ერთგული და კეთილმორწმუნე, როგორც მისი მამა. ნაწირვებს მღვდელი ბრუნდება სახლში, აქ მას უხვდება ოჯახობა, მეუღლე და დანარჩენი შვილები; ყველანი მიდიან მამასთან ლოცვა-კურთხევის მისაღებად და ეამბორებიან მას ხელზე. ყველანი ცდილობენ ახალი ნაწირავი მამა არ გააჯავრონ· ოჯახის იმ წევრს, რომელსაც ჯერ კიდევ არაფერი უჭამია, შეუძლია (კეთილკრძალულებით და მოფრთხილებით, რომ ნამცეცი არ გააგდოს ხელიდან) მიიღოს ტაძრიდან მოტანილი სებისკვრის ნაწილი, რომელიც პირველად უნდა ჩავიდეს ჩვენ პირში, სამშვიდობოდ სხეულისა და საცხოვნებლად სულისა. შემდეგ იწყება საუბარი სხვა და სხვა საგნებზე და ამ საუბრის დროს ერთ საყვედურსაც ვერ გაიგონებთ მღვდლისგან შესახებ მისსა, რომ ცოტა სასყიდელი მისცეს მან დღეს რომელიმე მღვდელმოქმედებისათვის. ასეთ საყვედურს ვერ გაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონებთ მისგან, რადგან იგი ემსახურება ღმერთს, საუკუნო ნათელს, რომლის სამსახური თავის თავად შეადგენს უმაღლეს ჯილდოს. მწუხარებით და საჩივრებით ვინ გამდიდრებულა? ჰირიქით მწუხარება და მუდმივი საჩივრები სულიერ მოუსვენრობას სძენს კაცს. ასეთი საჩივრების მიზეზია, რომ მღვდლის შვილები ერიდებიან მღვდელობას, ვინაიდგან მღვდელობა ცოტა შემოსავლიანია და ამიტომ მღვდლის მოზარდი შვილები ცდილობენ იშოვონ ისეთი სამსახური, რომ ნივთიერად უზრუნველ ყოფილნი შეიქნენ. ერთი სიტყვით ცდილობენ სიმდიდრე მოიხვეჭონ—და ასეთი მისწრაფების შემდეგ კაცი არას დროს არ იქნება კმაყოფილი თავისი მდგომარეობით, რაც უნდა მისი მდგომარეობა და სამსახური კარგი და უზრუნველ ყოფილი იქნეს. კეთილ-მორწმუნე მღვდლის შვილებს შეგნებული აქვსთ თავიანთ მშობელთაგან, თუ რა წმიდა და დიდია მღვდლის სამსახური და მასთან ისიც ესმის, თუ რამდენად ჰასუხ-საგებელია ეს მოვალეობა. ასეთი შეგნება მათში ჭბადებს მოციქულებრივ გულს მოდგინებას, რომელიც შეიძლება შესუსტდეს, მაგრამ სრულიად კი არ მოისპობა ქრისტეს ეკლესიაში.

თუ ჭეშმარიტად კეთილ-მორწმუნე მღვდელი თავის სიცოცხლეს ასმაგს მშვიდობიანს შრომას, მზად არის იგი დაიცვას თავისი სამსახურის ვალდებულებანი, იგი მუდამ კმაყოფილია. „კიდევ კარგად ვსცხოვრებთ“, ფიქრობს და ამბობს მღვდელი, ჯერ კიდევ არ გვაკლებს ჩვენ უფალი თავის მოწყალებას; ნურც მოგვაკლოს მან ჩვენ თავისი მომადალი სასუფეველი“. ამასთან მღვდლის ხალგაზრდა შვილს, მომავალ მსახურს ეკლესიისას, თავისი მამის სიტყვით და საქმით შეგნებული აქვს, რომ ამ ქვეყნიური ცხოვრებით ჩვენ ვემზადებით საუკეთესო ცხოვრებისათვის; იგი დარწმუნებულია, რომ რაც უფრო დიდი შრომა და მწუხარება შეხვდება მას, მით უფრო უდიდეს ზეციურ ჯილდოს მიიღებს. ბავშობიდანვე ეჩვევა იგი ფიქრს, თუ როგორ ცხონდეს, როგორ აცდეს საუკუნო განსჯას. სწორეთ ასეთი ცხოვრებაა ჭეშმარიტად ქრისტიანული. თუ ასეთი ცხოვრება სუსტდება როგორც საერო წოდებაში, ისე ტრაპეზის მოსამსახურეთა შორის, ამის უმთავრესი ბრალი ედება არა მარტო სასწავლებლებს, სადაც ახლად მოზარდი თაობა იძენს სწავლას და ცხოვრებას, არამედ იმ ოჯახებსაც, რომელთაგან გამოდიან ეს ტაძრის მოსამსახურენი, ვინაიდგან სარწმუნოებრივი მოსაზრებანი და კეთილ-მსახურებითი მოქმედებანი იბადებიან კაცში ჰატარაობისას და არა დიდობისას, მშობლებისაგან და არა მასწავლებლების მიერ, თავის ოჯახებში და არა სკოლებში.

მაგრამ ესეც უნდა ვსთქვათ, ხამწუხაროდ, რომ ზოგიერთი ჰატარა თოთო ბავშები, შვენიერად აღზრდილნი დედ-მამის სახლში, თავიანთი ცუდი ოფა-ქცევის ამსანაგებისაგან ხშირად გაფუჭებულნ და ცუდი ზნისანი გამხდარან.

ხუცური თუ მხედრული?

(დასასრული *)

თავებს კურსს სემინარიელი და, არ გაივლის არც ერთი წელიწადი, რომ იგი მღვდლათ ემწესება. ვიკითხოთ: საიდგან და რა საშვალებით შეუძლია მას ამ ერთი წლის განმავლობაში (ხშირათ კი უფრო მოკლე ხანშიაც) შეივსოს ის, რაც მან მთელი ათი წლის (4 წ.+6 წ.) განმავლობაში ვერ მოასწრო. ან კი ბევრი კი იქნება მისთანა, რომელსაც, მას შემდეგ, რაც მან სემინარიის კედლებში იტანჯა, მოთმინება და ხალისი შერჩენოდეს კვლავ „ანბანიდან“ დაიწყოს ის, რაც მას ისე «უძნელდებოდა» და „ეჯავრებოდა“ შეგირდობის დროს?.. უეჭველია, ამისთანა „ბედნიერი“ ათ სემინარიელში ერთიც ძაან იშვიათად გამოვა და ამიტომაცაა, რომ, რაც უფრო დრო გადის და ჩვენში ახალგაზრდა სემინარიელ მღვდელთა რიცხვი მატულობს, იმდენათ საეკლესიო ღვთის-მსახურების და საღვთისმსახურო წიგნების კითხვა თანდათან ცუდ მდგომარეობაში ვარდება (იმ ხნის განმავლობაში მაინც, სანამ ახალგაზდა მღვდელი და მედავითნე საეკლესიო წიგნებში საკმაოთ «თვალს გაიტეხდენ»).

ასეთია საქმის მდგომარეობა, აგეთნი არიან ის პირობანი, რომელნიც ჩვენი ეკლესიის ყველა გულშემატკივართა მხრით უსათუოდ იწვევენ კითხვას, თუ რა უნდა ეშველოს ამ მოვლენას: რა გზით შეგვიძლია ავიცდინოთ თავიდან საეკლესიო ღვთის-მსახურების და კერძოთ საეკლესიო წიგნების კითხვის უნუგეშო მდგომარეობა? რა საშვალებით ავაცდინოთ სასულიერო წოდების მოზარდს თაობას ერთის მხრით, ის ფრმაგი ტვირთი, რომელიც მას ისე უნაყოფოდ და სამძიმოდ აწევს ქედზე შეგირდობის დროს, და, მეორე მხრით, ის უხერხული მდგომარეობა, რომელშიაც ვარდება ახალგაზდა მედავითნე და სემინარიელი მღვდელი, როცა საჯაროთ—ეკლესიაში წირვა-ლოცვის დროს ან და სხვა რაიმე ღირს-შესანიშნავ შემთხვევაში ხშირად იძულებულია თავისი „ულირსი“ კითხვით საზოგადოების დაცინვა და უკმაყოფილება დაიმსახუროს? და, უკანასკნელ, რა რიგათ ავაცდინოთ თვით მორწმუნე საზოგადოებას ეს მისის სარწმუნოებრივ გრძნობის შეურაცხმყოფელი მოვლენა?

აი კითხვები, რომელნიც ღირან იმათს ყურადღებათ, ვისიც ჯერ არს. უეჭველია, ამ უკანასკნელთ პასუხიც გარემოებათა შესაფერისი მოეთხოვებათ. აქ საკმაო არაა ჩვენს თავს მხოლოთ ბეჯით წინაპრების „ზარმაცი შთამომავლობა“**) ვუწოდოთ და მხილებას მოვყვეთ: ეს ხომ იმას ემგვანება, რომ სნეულის სამკურნალოთ მოწვეულმა ექიმმა ავადმყოფათ აღიაროს—„ფაქტი ფაქტიაო“ და ჭირისუფლების ან და თვითონ ავადმყოფის კიცხვა-მხილებას მოჰყვეს: რათ გახდი ავად, შე სნეულო, შენაო!.. ხოლო, ვის არ მოეხსენება, რომ, როცა კითხვა წამლობაზეა მიმდგარი, მაშინ ავათმყოფობის მარტო ფაქტათ აღიარება როდი კმარა: აქ საჭიროა წამლობაც შესაფერი გამოიძებნოს..

უეჭველია, დაახლოვებით ამნაირივე კითხვები უტრიალებდენ თავში ბ. ნადიკვრელს, როცა იგი თავის წერილის უკანასკნელ პუნკტში ამნაირ კითხვას სვამდა: „დრო არის თუ არა ხუცური, მთავრობის თანხმობით, უარყოთ, მომავალში ახლად განწესებულ მღვდლებს მხედრულათ მოვთხოვოთ კითხვის ცოდნა და ეკლესიებში ნელ-ნელა შევცვალოთ ხუცური წიგნები მხედრულითაო“. უეჭველია, ამ ცვლილების მოხდენა მას ერთ უსაჭიროეს და თანამედროვე პირობათა შესაფერ საშვალებად მიაჩნდა აღნიშნულ სენთან საბრძოლველათ.

ასე ვფიქრობთ ჩვენც და, იმედია, ბევრი დაგვეთანხმება, რომ მართლაც ეს საშვალება უნდა ჩაითვალოს ერთად-ერთ ნაციონალურ და ადვილათ ხელმისაწვდომ საშვალებათ. და, აი, რისთვის:

1) საეკლესიო და საერო ლიტერატურის ანბანთა ერთგვაროობა (უკეთუ საეკლესიო მწერლობაშიაც მხედრული შრიფტი შემოვიღეთ) სასულიერო წოდების მოსწავლე ახალგაზდობას მეტის-მეტათ გაუადვილებს ერთისაც და მეორისაც შეგნებულათ შესწავლას, რადგან: მთელი ის დრო, რომელიც სემინარიის და სასულ. სასწავლებლის შეგირდებს ორი ანბანის შესწავლასა და გავარჯიშებაში

*) იხ. «მწყემსი», № 15—16, 1899 წ.

*) იხ. „მწყემსი“ 1898 წ. № 23—24.

ჭირდებოდათ, ახლა მხოლოთ ერთი ანბანისთვის გადიდება, მაშასადამე შრომაც შესამჩნევათ შემცირდება და გაადვილდება,—ხოლო ის დრო, რაც სემინარიის შეგირდს „ხუცურის“ მეხანიკურათ „ზუბრვაში“ ეხარჯებოდა, ახლა წაკითხულის თვით შინაარსის და აზრის გასარკვევათაც და შესაგნებლათ გამოადგება,—აგრეთვე ის დრო, რომელიც მას საერო ჟურნალ-გაზეთების, თუნდ მხედრულათ დაბეჭდილ მატიანების და საისტორიო წიგნების კითხვაში მისდის, მაშინ თანაბრათ სასარგებლო იქნება საეკლესიო წიგნებში თვალის გასატეხათაც,—ამასთანავე ძალიან მოიგებს თვით საერო ლიტერატურის შესწავლის საქმეც: აქ საერო დაეხმარება საეკლესიოს და საეკლესიო—საეროს.

2) უეჭველია, როცა მოსწავლეს ასე შევუმცირებთ შრომას და საღმრთო-საეკლესიო წიგნების კითხვას გავუადვილებთ, მაშინ ქართული ენის მასწავლებელთაც სრული ზნეობრივი უფლება ექნებათ და შეძლებაც მიეცემათ შეგირდებს უფრო ხელმოჭერით მოთხოვონ გაკვეთილის სავსებით და შეგნებულათ ცოდნა (რაც თანამედროვე პირობებში, სხვათა შორის, საეკლესიო და საერო შრიფტთა ორგვაროვნობის და აქედან, შრომის ორმაგობის გამო თითქმის ფიზიკურათაც კი შეუძლებელი ხდება მოსწავლისათვის.

3) მზგავსივე სისასტიკით შეგვეძლება მოვთხოვოთ მაშინ საეკლესიო წიგნების ცოდნა ახალ კურს დამთავრებულ, სამღვდელო ხარისხის მაძიებელთაც. და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ანგარიშში არ მოტყუვდებით, რადგან ყველასაგან ცნობილია, რომ, საზოგადოთ, სემინარიელი სამშობლო ლიტერატურას ხალისიანათ ეტანება და ბევრს მისი საკმაო ცოდნაცა აქვს. [1]) მაშასადამე, ცხადია იმავე (მხედრული) ანბანით დაბეჭდილი საეკლესიო წიგნების შესწავლაც არ გაუძნელდება და არც დაეზარება; რადგან ეს მას ახლა ძალიან მცირე შრომას მოთხოვს.— ეგევე იქნება მედავითნეების პრაქტიკაშიაც. საზოგადოთ, ქართული ენის კაი მცოდნი მედავითნე დღეს ჩვენში ძალიან იშვიათია, რადგან მას მარტო ხუცურ წიგნების კითხვაში გართულს და დაინტერესებულს, თითქმის სრულებითაც აღარა აქვს ხალისი და დრო[1]) (ხშირათ, ცოდნაც) „მხედრულათ“ დაბეჭდილი რამე წაიკითხოს. (აი, სწორეთ, ამ კათეგორიის მწიგნობრებზე თუ ითქმის, რომ მათ „მხედრულათ წიგნების შეცვლა უფრო გაუძნელებს კითხვასო“ *) და არა საზოგადოთ იმ ახალი ტიპის მედავითნეებზე და სამღვდელოებაზე, რომელთაც თანამედროვე პირობები ბადებს ჩვენში და მომავალი გვიქადის). და, თუ ვეღირსეთ და აღნიშნული ცვლილება მოხდა, მაშინ, დარწმუნებით შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ეს ნაკლიც თვალ-საჩინოთ შეივსება.

4) ამ სამ სასურველ და პროგრესიულ ნაბიჯს, უეჭველია, მეოთხეც თან მოჰყვება: საკმაოთ გაუმჯობესდება ეკკლესიებში შეგნებული კითხვა, გამშვენდება ღვთის-მსახურება და მორწმუნე, ღვთისმმოსავ სმენელსაც რამოდენათმე აცდება თავიდან ერთი მხარე მაინც იმ არა სასიამოვნო და სარწმუნოებრივ გრძნობათა შემლახველ მოვლენისა, რომელიც ასე ხშირია დღეს ჩვენს საეკლესიო პრაქტიკაში.

ასეთია დადებითი (სასარგებლო) მხარე ამ სასურველ რეფორმისა.

მაგრამ, იქნება, მას რაიმე უარყოფითი, მავნებელი შედეგებიც აედევნოს? აბა, გავშინჯოთ.

მ. დეკანოზი დ. ლამბაშიძე იმ «ბევრ ვნებათაგან», რომელნიც მათის ფიქრით ამ ცვლილებას უნდა მოჰყვეს, მხოლოთ „ერთად-ერთს“ *ასახელებს. სახელდობრ, იგი ბრძანებს: „ნუ თუ ყველა შესანიშნავი ხელთნაწერები, რომელთაც ეხლაც ხმარობენ სხვა და სხვა მონასტრებში ღვთის-მსახურების დროს, რადგანაც ჯერ ვერ მოხერხებულა მათი სამაგიერო წიგნების დასტამბვა, მხოლოდ მივიწყებულ წიგნთ-საცავების კუთვნილებათ უნდა დარჩეს... ეხლა სამღვდელო წოდებას მაინც მიმართავს კაცი ძველი ხელთნაწერის გასარჩევად. და მაშინ ხომ სულ გაუგებარ რამედ უნდა გადიქცეს ეს ჩვენი შესანიშნავი ხელთნაწერი“-ო *) და სხ.

ამაზე ჩვენ ორი პასუხი გვაქვს. ერთია და, თუ მართლაც აღნიშნულ ხელნაწერთა ხმარება ასე საჭიროა და ისიც „მონასტრებში“, განა არ შეიძლება

[1]) ეს მხოლოდ იმ დრას, როცა სემინარიაში ბრძანდებიან; ცხოვრებაში კი უმეტესობა სულ სხვას გვიმტკიცებს და მხედრულის ასოებით დაბეჭდილ წიგნების კითხვაშიც ისე კოჭლობენ, როგორც ხუცურ წიგნებში... რედაქტორი.

[1]) დრო ბევრი აქვს, მაგრამ ხალისი არა აქვს და ზარმაცობა ხელს უშლის... რედ.

*) იხ. „მწყემსი“ 1898 წ. № 23—24.

*) იხ. „მწყემსი“ № 23—24, 1898 წ. **) იქვე.

ეს საქმე მონასტრისავე მცხოვრებლებს დავაკალოთ: ბერებს ხომ ამისთვის, უეჭველია, მოცალებაც ექნებათ და ხალისიც. ან კიდევ: განა არ შეიძლება ამ ხელნაწერთაგან უსაჭიროესნი ამოირჩნენ და ახლავე დაიბეჭდონ მხედრულათ; თუმცა, მართალი რომ ვთქვათ, ეს არც ასე საჩქარო საქმეა, რადგან სანამ ის ბერები, მღვდლები და მედავითნეები, რომელნიც „მარტო ხუცურის“ კითხვაში აღიზარდენ, ცოცხალი იქნებიან, მანამ, უეჭველია, ამ ხელნაწერებსაც მკითხველი არ დაეკარგვის,—მანამდი კი ჩვენც შეიძლებთ როგორმე მათს მხედრულათ დასტამბვას.

ძალიან სუსტათ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის შიშიც, თითქოს ხუცური ანბანის საეკლესიო ბრაქტიკიდან გამორიცხვით ჩვენს სამღვდელოებას საშუალება აღარ ექნება «ხატებზე, კედლებზე და ყოველგვარ ძველ ნაშთებზე“ წარწერები წაიკითხოსო**).[1]) ნუ თუ ჩვენს მოზარდ თაობას მაინც და მაინც „ხუცური“ კითხვის მძიმე ტვირთი არ უნდა მოვხსნათ ისედაც საკმაოთ დამძიმებულ ქედიდან მხოლოთ იმ მოსაზრებით, რომ აქა-იქ ძველ მონასტრების და ეკკლესიების «კედლებზე» ორი თუ სამი სიტყვაა ამოჭრილი ძნელ გასაგები ასომთავრულით. განა არ შეიძლება ამგვარი წარწერებით ჭეშმარიტათ დაინტერესებულმა მღვდელმა (თუ კი ამისთანები ჩვენშა მოიპოვებიან) რაღაც ორიოდე საათი მოახმაროს ხუცური ანბანის შესწავლას? თვითონ მ. დეკანოზის სამართლიანი შენიშვნისა არ იყოს, „ხუცურ ანბანს მხედრულის მცოდნე ხომ რამოდენიმე საათში სწავლობს» (იხ. „მწყემსი“ 1898 წ. № 23—24).—და ესეც რომ არ იყოს, განა არ შეიძლება დაინტერესებულმა მღვდელმა წარწერები ქალალდზე წაუკითხავათ გადმოხატოს (ამას ხომ თანამედროვე პალეოგრაფიაც ასე გვირჩევს, რათა გამოუცდელმა წამკითხველმა წაკითხულში სუბიექტივური არა შეიტანოს რა) და ხუცურის კაი მცოდნეებს წააკითხოს, ან რომელიმე ჟურნალ-გაზეთის

** იქვე.

[1]) ეს მიზეზი ჩვენ სხვათა შორის ვუჩვენეთ და უმთავრესი მიზეზები კი სხვანი არიან და ზოგიც მკითხველმა უნდა იგულისხმოს, რადგან ბრდაბერ მათი დასახელება არ შეიძლება.

რედ.

რედაქციას გაუგზავნოს, რომელიც, ცხადია, არ დაამადლის საყურადღებო წარწერის წაკითხვას.—და, თუნდ, უკანასკნელ, ესეც არ იყოს, განა საეკლესიო ბრაქტიკიდან ხუცურის გამორიცხვა რას მოუშლის მხედრულ ანბანის მოსწავლე ახალგაზდობას „ხუცური“ ანბანის გაცნობაც დაეკარგოს? ეს არამც თუ საქმეს არ დააბრკოლებს, პირიქით, თუ კი როდისმე აღნიშნული ცვლილება მართლა გვეღირსა, ჩვენის ფიქრით, სავალდებულოთაც კი უნდა გახდეს ყოველ სასწავლებელში და, განსაკუთრებით, სას. სემინარიებში: უეჭველია, მაშინ ჩვენ სამღვდელოებასაც აღარა გაუჭირდება რა საიმისო, რომ «ისე მიაჩერდეს ამ ნაშთთა წარწერას, როგორც ეგვიპტის ჰიეროგლიფებს მივჩერებივართ ჩვენ დღეს», *) და მაშასადამე, აღარც „ჩვენსა და საგულისხმო სიძველეს შორის“ იქნება ის „უფსკრული“, რომელზედაც მ. დეკანოზი ბძანებს.

რაც შეეხება იმ შენიშვნას, თითქოს ხუცურის დატოვებით ჩვენ „სულ მოვწყდებით ჩვენს წასულსო“,**)—ამ შიშის გასაქარვებლად საკმაოა შემდეგი კითხვა ავხსნათ: ვინ უფრო კარგათ იცის (ან აქვს საშვალება იცოდეს) ჩვენი წასული ცხოვრება—იმ „ძველმა“ მღვდელმა, რომელიც მხოლოთ «ხუცურის კითხვაში აღიზარდა, თუ იმ ახალგაზდა სემინარიელმა, რომელსაც მხედრულათ დაბეჭდილი „ქართლის ცხოვრება“ და ბროსეს—«საქართველოს ისტორია“ უდევს წინ?..

ერთი სიტყვით, ყოველივე აქ თქმულით ჩვენ მხოლოდ ის გვინდოდა განგვემარტა, რომ მ. დეკანოზის მიერ დასახელებული დაბრკოლებანი არც ისეთი ძლიერნი არიან, რომ მათ თანამედროვე პირობებში გარს არ შემოევლებოდეს როგორმე. და რადგან ამ ხელად ჩვენ ამ დაბრკოლებათა გარეშე სხვა დაბრკოლებას ჯერ-ჯერობით ვერსად ვხედავთ, ამისათვის ვგონებთ და ვასკვნით, რომ აღნიშნულ ცვლილებისაგან (საეკლესიო წიგნების მხედრულათ დაბეჭვდაზე მოგახსენებთ) არავითარს საშენელს და მით უფრო „მეტად საშენელ“ ***) შედეგს არ ელ-და მოველოდეთ.

და თუ ასეა, მაშ გვაქვს-ღა საბუთი ბ. ნადი-

*) იხ. „მწყემსი“ 1898 წ. № 23—24.

**) იქვე.

***) იქვე.

კვრელის მოწოდებას მივემხროთ და მასთან ერთათ ქართველ სამღვდელოებას მივმართოთ—ღრმათ ჩაუკვირდეს ამ, თვით ცხოვრებისგან წამოყენებულ საკითხს, მხედველობაში ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებანი მიიღოს და ისე გადაჭრას.—ნურავინ იფიქრებს, თითქოს ეს საკითხი რაღაც მეტიჩრობის, ან რაიმე „უცნაური თვისების“ *) ნაყოფი იყოს... არა, ეს წამოაყენა თვითონ ცხოვრებამ, და თუ ცხოვრების საჭიროებით წამოყენებულ კითხვის სახალხოთ გამოტანა და მისი რაციონალურათ გადაჭრის სურვილი განა შესაძლოა, ვისმე „უცნაურ“ ე. ი. უსაფუძვლო და მეტიჩრულ სურვილათ ჩაეთვალოს?

მაგრამ, შორს რომ არ წავიდეთ, უმჯობესია მაგალითი თვით ჩვენი საღვთისმსახურო პრაქტიკის ისტორიიდან ამოვიღოთ. აი რას ამბობს ჩვენი პატივცემული ისტორიკოსი ბ. თ. ჟორდანია მიქელ მოდრეკილის მიერ შეკრებილ და გასწორებულ საგალობლების“ გამო: „იგიო (ე. ი. მოდრეკილის „საგალობელნი“)—ბძანებს ბ. ჟორდანია—მოწამეა უძველესის საღვთისმსახურებო განსხვავებულის წესწყობილებისა აღმოსავლეთის ეკკლესიათა და უმეტესად საქართველოის საკათალიკოზოისა. გარდა ამისა, მასში... დაცულია არა ერთი და ორი იმ საგალობელთაგანნი, რომელნიც ძველად აღმოსავლეთის (ე. ი. იერუსალიმ-ანტიოქიის საპატრიარქოთა) ეკკლესიაში გავრცელებულნი ყოფილან და აწ უმეტესნი დაკარგულნი არიან მეცნიერებისათვის. მასში დაცულია ქართველ-სომეხ მწერალთაგან თხზული მრავალი საგალობელი, რომელნიც მეთორმეტე საუკუნიდან ხმარებიდან გამოსულან და დაკარგულან, რადგან მე-XII საუკ., და განსაკუთრებით ურბნის-რუისის კრების შემდეგ, ძველი წესწყობილება ღვთისმსახურებისა უარეოფილ იქმნა და ათონელთ მამათაგან ახლად თარგმნილი წიგნები შემოიღეს, ე. ი. დაამყარეს კონსტანტინეპოლის საპატრიარქოის ღვთის მსახურების წესი“ *).

*) იხ. „მწყემსი“ იგივე №, გვ. 7. დ. ღამბაშიძის სიტყვები.

*) იხ. თ. ჟორდანია: „ქრონიკები“ წ. 1 გვ. 120. კურსივი ჩვენია.—ყურადღების ღირსია, სხვათა შორის, ის გარემოება, რომ აღნიშნულ ცვლილებას არც ეკკლესიაში და არც საზოგადოებაში არავითარი განეთქილება არ გამოუწ-

ამ რიგათ, სჩანს ჩვენს საეკკლესიო პრაქტიკაში ცვლილების მოხდენა „არ ახალია, ძველია», სჩანს, თუ კი დრო და საჭიროება მოითხოვდა, ამ ღონისძიებისადმი მიმართვა ჩვენს „ძველებსაც“ ჩვეოვათ. მაშ, მათს „შთამომავლობას“ რატომღა უნდა ჩაგვეთვალოს „უცნაურ თვისებათ“ ის, რასაც თანამედროვე ცხოვრება მოითხოვს და რაც ჩვენ ამ დროს და გარემოებათა შესაფერათ მიგვაჩნია...

ამ სახით: ხალხის (სამწყსოს) სარწმუნოებრივი მოთხოვნილებანი,—ჩვენი მოზარდი სასულ. ახალგაზდობის თანამედროვე შკოლური მდგომარეობა,—ქართული ენის მასწავლებელთა „უხერხული“ მდგომარეობიდან გამოყვანის სურვილი,—საეროოთ, საეკკლესიო კეთილმსახურების და ღვთისმსახურების ნაკლები შრომით მეტ და შესაფერ სიმაღლეზე დაყენება და, უკანასკნელ, ჩვენთა წინაპართა მაგალითი,—აი ყველა ის მოტივები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს ჩვენმა პატივცემულმა სამღვდელოებამ აღნიშნულ კითხვის გადაწყვეტის დროს. არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე, რომ წიგნების დაბეჭდვა მხედრულათ უფრო იაფი დაჯდება, ვინემ ხუცურათ. ჩვენ აქ არ შეგვიძლია ეს ციფრებით დავასურათოთ. ვურჩევთ კი ჩვენს სამღვდელოებას ამ მხარესაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს, რადგან, ცხადია, რაც უფრო იაფათ დავიჯენთ უსაჭიროესი წიგნების დაბეჭდას, მით უფრო მეტი საშვალება მოგვეცემა კანტორის მიერ გადაღებული ფულით ბევრი კიდევ იმისთანა ძველი, მონასტრებში სახმარებელი ნაშთები დავსტამბოთ, რომლებაც უამისოთ, იქნებ, სულაც ვერასოდეს ეღირსონ ამ ბედნიერებას...

უკანასკნელ, ორიოდე სიტყვა თვით ხუცურ და მხედრულ შრიფტთა შესახებ.

მ. დეკანოზი ბძანებს: „რამდენია ჩვენს გარეა ქრისტიანი ერები—იგინი რატომ არ იცვლიან ანბანსო?“* და სხვ... არ ვიცით, სახელდობრ რომელ ერებზე ბძანებს მ. დეკანოზი, რადგან ქართველებს გარდა არ გვეგულვება კიდევ იგეთი მართლ-მადი-

ვევია (მწვალებლობაზე მოგახსენებთ). მაშ, საბუთი გვაქვს, რამდენათაც, საზოგადოდ, მიღებულია და შესაძლოა წარსულის მიხედვით მომავალზე წინასწარმეტყველება, იმედი ეიქონიოთ, რომ არც „ხუცური“ შრიფტის უარყოფა გამოიწვევს ჩვენს ეკკლესიაში რაიმე საშიშს მოძრაობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებელი ერი, რომელსაც ღვთისმსახურება და საერთოთ საეკ. ლიტერატურა საკუთარს დედაენაზე ჰქონდეს და ამასთანავე საეკ. და საერო მწიგნობრობის შრიფტი კი სხვადასხვაობდეს. და თუ მ. დეკანოზს ჩვენი მეზობელი ერი (რუსები) და საერთოთ სლოვიანთა მართლ-მადიდებელი ერები (ბოლგარები, სერბნი და სხ.) ყავდა სახეში,—ამათ ხომ საღვთისმსახურო ენაც განსხვავებული აქვთ დედაენისაგან; მაშასადამე შრიფტის გამოცვლა იქ მაინც და მაინც ბევრს ვერაფერს სარგებლობას მოიტანდა, მით უმეტეს, რომ თვით ეს სლოვიანური შრიფტიც (ე. წ. „კირილლიცა“) ბევრით არც კი განირჩევა აღნიშნულ ნაციონალურ ანბანისაგან (განსხვავება სულ 8 თუ 10 ასოშია, მეტში არა; შეადარე რუსული და სლოვიანური ანბანი...)—ხოლო, რაც კერძოთ რუსეთის ეკკლესიას შეეხება, აქ, მართალია, შრიფტის შეცვლაზე სიტყვა არავის უთქვამს, მაგრამ ეს კი დაბეჯითებით ვიცით, რომ ბევრი თანამგრძნობელი ჰყავს იმ აზრს, რათა ძველი სლოვიანური ენა საეკ. წიგნებისა ახალ და ადვილ გასაგები სლოვიანურით შეიცვალოს. ამ აზრს ეპისკოპოსებიც კი თანაუგრძნობდენ, როგორც მაგალ. ცნობილი სასულ. მწერალი და „затворникъ“-ი ეპისკოპოსი თეოფანე († 1894 წ. *). და, შესაძლოა, ეს კითხვა აქამდინაც „სა-ჰო-ოოთ“ გადაწყვეტილიყო, რომ ახალი მწვალებლობის გაჩენისა არ ეშინოდესთ: პატრიარქ ნიკონის მაგალითი აფიქრებსთ...

სულ სხვანაირ პირობებში ვართ ჩვენ, ქართველები: მწვალებლობის შიში ჩვენ ვერ შეგვაფიქრებს, საეკლესიო და საერო ენა ჩვენი ორივე ერთია,—დაგვრჩა, მაშასადამე, ანბანთა სხვადასხვაობა. მაგრამ ვინც ჩვენს პალეოგრაფიულ ნიმუშებს ჩაკვირვებია, ადვილათ შეამჩნევდა, რომ ამ ორ შრიფტთა შორის თვალსაჩინო გენეტიკური დამოკიდებულება არსებობს,—ადვილათ დაეთანხმება იმ აზრს, რომ ჩვენი დროის მხედრული არ წარმოადგენს რაღაც გადამთიელს, ხუცურისგან მოწყვეტით და განცალკევებით შემოღებულს მწერლობას,—არამედ მტკიცე ნათესავური კავშირითაა მასთან გადაბმული**). მართალია, კითხვა იმის შესახებ, თუ როდის და ვის მიერ შემოღებულ იქმნა ჩვენში ქართული მწერლობა, ჯერ კიდევ არ არის მეცნიერებაში დაჯერებით გადაჭრილი; ჯერ კიდევ არ ვიცით, აგრეთვე, არსებობდა თუ არა ხუცურის შემოღებამდე რაიმე მხედრულის მსგავსი მწერლობა და ხუცური მართლა ამ უძველეს (გიპოტეტიკურ) მხედრულის გადაოთხკუთხიანებას წარმოადგენს, როგორც ზოგიერთებს გონია (იხ. „მწყემსი“ №-ი ქრ. ციკქიშვილის წერილი), თუ არა.— მაგრამ ის კი ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ იყო დრო, როცა მხედრული და ხუცური ძალიან დაახლოვებულნი იყვნენ ერთმანეთზე. ჩვენ ამ ჟამათ წინ გვიდევს ჩვენი მწერლობის მეთერთმეტე საუკუნის პალეოგრაფიული ნიმუში (იხ. «Сигель груа. паря Баграта IV—1027—1072 гг.» ე. თაყაიშვილისა. Въ „Запискахъ Восточн. отд. Импер. Русск. Археологич. общества“ т. IX, вып. I—IV. 1896 г. Спб. Таблица № 1, 2, 3 и 4) და არ შეგვიძლია არ დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ ჩვენი მხედრული, თანამედროვე მხედრული მხოლოთ შემდეგს ევოლიუციას წარმოადგენს იმავე ხუცურისას, ან როგორც ბ. თაყაიშვილი ბძანებს, აღნიშნული სიგელის ანბანი „еще разъ доказываетъ давно высказанное мнѣніе, что мхедрули произашелъ отъ хупури“ (იქვე. გვ. 59. შეადარე: Д. Пурцеладзе „Гуджары“ Тифл. 1881 г. გვ. V).

და თუ ასეა, უკეთუ ეხლანდელი „მხედრული“ მხოლოთ გვიანდელ ფორმას წარმოადგენს იმავე ხუცურისას, უკეთუ იგი არ შეადგენს რაიმე ჩამოშვლობით განსხვავებულს შრიფტს,—მაშ რალათ გვგონია ხუცურის მხედრულათ შეცვლა რაიმე უცნაურ მოვლენას წარმოადგენდეს? ეს ხომ თვით ისტორიულ ბუნებრივ მსვლელობის უკან მიყოლაა, მეტი

*) იხ. А. Д. Ушинскаго: «О причинахъ появленія раціоналистическихъ ученій... и о мѣрахъ противъ распространенія“ და სხვ. კიევი, 1884 წ. გვ. 67.

**) იმედია, სწორეთ ამნაირს სიახლოვეზე ბძანებდა მ. დეკანოზიც თავის სტატიაში და არა აწმყო ფორმალურს მსგავსებაზე, რაც თანამედროვე მხედრულსა და ხუცურს შორის ძალიან პატარაა,—ისე პატარა, რომ, არამც თუ უცხო და გამოუცდელს, კაი გამოცდილსა და მცოდნე პირსაც კი გაუჭირდება დღეს წარსულთან შეუდარებლათ მათ შორის რაიმე ნათესაობა აღმოაჩინოს, გარდა 10—5 ასოებისა.—რომ ეს მსგავსება მეტის მეტათ მცირეა, ამას სხვათა შორის ისიც მოწმობს, რომ მხედრულის კაი მცოდნეს ძალიან უჭირს ხუცური თავისუფლათ წაიკითხოს.—

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფერი! და მაშ რათ უნდა ჩაგვეთვალოს ეს ცვლილება მომაკვდინებელ ცოდვათ, მით უმეტეს, რომ ამ ცვლილების საჭიროებას თვით თანამედროვე პირობები ბადებენ? მაშ, რათ არ უნდა მივდიოთ ამ სამართლიან მოთხოვნილებას? რათ არ უნდა გავიადვილოთ საქმე იქ, სადაც ამ გაადვილებისათვის არავითარი ვნება, არავითარი მსხვერპლი არ მოგვეთხოვება, სარგებლობა კი მრავალმხრივი მოგველის?!. *)

დროებით ჩრდილოელი ს. გ.

საფრანგეთის გამოჩენილნი ექიმები თოფურიას საავადმყოფოში.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, ამ დღეებში ქუთაისში ჩამოვიდა 112 მოგზაური ფრანგი, წევრნი სამეცნიერო საზოგადოებისა, რომელიც წელიწადში ორჯელ ოავისს წევრთათვის სამოსწავლო ექსკურსიებს ჰმართავს ქვეყნის ყველა კუთხეში. ახლანდელ ექსკურსიის საგანია ხმელთა-შუა ზღვის და შავი ზღვის შესანიშნავ ნავთსადგურებისა და კავკასიის ზოგიერთის ადგილების გაცნობა, და სამეცნიერო მასალის შესაკრებად მიწად-მფლობელობისა, ეთნოგრაფიისა და ანთროპოლოგიის შესახებ. ამ ჟამად კავკასიაში მყოფ ფრანგთა შორის არიან: ემილი ომანტი—სლავიანთა მწერლობის პროფესორი ლილში, ლუი ოლივიე—დირექტორი სამეც. საზოგ., ქიმიკოსი სორრე, ქირურგი ტერიე, რომელსაც ამ ერთის თვის წინად ლაბორის ჭრილობა გამოუკვლევია, დ-რი მარლ ლერუ, ანდრე დიუპუი და მრავალი სხვა ცოტად თუ ბევრად ცნობილი მეცნიერი, მხატვარი და მწერალი. ეს მეცნიერნი პირველად თბილისში ჩამოვიდნენ ვლადიკავკაზიდან. ტფილისიდან, სადაც მოგზაურთ საბოტანიკო ბაღი, ქალაქის აზიური ნაწილი, შუშტაიდი და სხ. დაათვალიერეს, საგანგებო მატარებლით ბაქოში გაემგზავრნენ. იქიდგან მათ ისევ ტფილისში გამოიარეს. თბილისიდან გზად გამოიარეს თავისი საგანგებო მატარებლით ქუთაისში. ქალაქში ეს მეცნიერნი შემოვიდნენ დილის 7 საათზე. რკინის გზის სადგურზე ამ მოგზაურთ მიეგებნენ ექ. ვ. ლამბაშიძე და ბ. ს. ქვარიანი. ერთი გუნდი ამ მეცნიერთა გაემგზავრა გელათის დასათვალიერებლად. გელათში უცხოელთ თან გაჰყვა ბ. ქვარიანი. გამოჩენილი ქირურგი ტერიე და ექიმი რიშარდიერი და სხ. წავიდნენ ბაგრატის ტაძრის ნანგრევების დასათვალიერებლად. დანარჩენი მოგზაურნი გაიფანტნენ მთელს ქალაქში. ისინი ათვალიერებდნენ ყოველივე საგანს. მასთან იღებდნენ ფოტოგრაფიულს სურათებს. ამ გამოჩენილ ქირურგის გარდა ბაგრატის სობოროს ნანგრევები სხვებმაც დაათვალიერეს და შესანიშნავი ჩუქურთმიანი ქვებიდან ფოტოგრაფიული სურათებიც გადიღეს. ქირურგმა ტერიემ, ექიმმა რიშარდიერმა და ერთმა მხატვარმა ინახულეს ბ. თოფურიას საავადმყოფო. უცხოელთ ძლიერ მოეწონათ ხსენებული საავადმყოფო. უცხოელთ საავადმყოფოში არაფერი არ გაუშვიათ დაუხედავი. მათ ძლიერ მოეწონათ განსაკუთრებით ის სისუფთავე, რომელიც არსებობს ამ საავადმყოფოში. ბოლოს ამ მეცნიერთ საავადმყოფოს აივანზე, რომელიც მდ. რიონს და სამეურნეო სასწავლებელს გადაჰყურებს, დაისვენეს. მოგზაურნი აღტაცებაში მოიყვანა იმ შვენიერმა სურათმა, რომელიც ამ ადგილიდან თვალწინ ეხატება კაცს. „არც ერთ ადგილას, სთქვა ბ. ქირურგმა ტერიემ, ამისთანა შვენიერი ბუნება არ მინახავს. რა ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ჩემი კლინიკის აივანზედაც დასვენების დროს ასეთივე საუცხოვო სურათი მეხატებოდეს თვალწინ“. ამ დროს რიონზე ჩამოატარეს სამი ტივი, რომელთა შეხედვამ ძლიერ, გააკვირვა უცხოელნი, ვინაიდგან მეტივეთ ზოგ ადგილას მდინარის წყალი გულამდის ასხამდათ, მაგრამ მეტივენი შეუშფოთებლად იდგნენ ტივზე. გამოთხოვების დროს ბ. თოფურიამ, ადგილობითი ჩვეულებისამებრ, სტუმართ მიართვა ოცი წლის შვენიერი ღვინო, სტუმართ ხელში აიღეს ჭიქები. მასპინძელმა დალია სადღეგრძელო ბ. ქირურგის ტერიესი და მადლობა შესწირა, რომ მან ინახულ-

*) ჩვენ ეგვლაფერში არ ვეთანხმებით ავტორს, მაგრამ რადგან ეგვლას ნებას ვაძლევთ გამოსთქვან თავიანთი აზრი აღძრული კითხვის გამო, ამისათვის ვბეჭდავთ ამ სტატიას. იმედია გამოსთქვამენ თავიანთ აზრს ისეთი პირებიც, რომელთა სიტყვას ჩვენს საზოგადოებაში უმეტესი მნიშვნელობა აქვსთ. რედ.

ლა მისი საავადმყოფო. ბ. ტერიემ ადღეგრძელა ბ. თოფურია და სთქვა: „მე თვითონ გწირავთ თქვენ მადლობას, რომ ასეთი შვენიერი ჯ საზოგადოებისათვის სასარგებლო დაწესებულება დაგიარსებიათ“. შემდეგ სხვებმაც ადღეგრძელა ეს უცხოელნი და, სხვათა შორის, უთხრა მათ: „ძლიერ მოხარული ვარ, როდესაც თქვენისთანა მოგზაურებს ვხედავ ჩვენს ქვეყანაში და ხალხში. მე ვგონებ, რომ მთელს დედამიწაზე არ იყოს ისეთი ხალხი, როგორიც ჩვენია, მოკლებული ყოველგვარ ქომაგობას როგორც შიგნით, ისე გარეთ. როცა თქვენისთანა განათლებული ხალხი გაიცნობს ჩვენს ხალხს, დარწმუნებული ვარ, რომ ცოტას მაინც ისირცხვენენ ის ვაჟ-ბატონები, რომელნიც ჩვენსას ყოველივეს უარს ჰყოფენ. ჩვენ არ გვინდა ისეთი მექომაგენი, როგორებიც ჰყავსთ სომხებს, ურიებს და სხვათა. ჩვენთვის საჭიროა იცოდნენ ის, რაც ვყოფილვართ და ან რაც დღესა ვართ“. ბ. ტერიემ მადლობა შესწირა დეკ. დ. ღამბაშიძეს და ისურვა ყოველივე კეთილი საქართველოს ხალხისათვის.

ბოლოს ბ. თოფურიას სთხოვა ბ. ტერიემ საავადმყოფოს უკანასკნელი წლების ანგარიშები, რომლიდანაც ამოღებულ ცნობების დასტამბვას საავადმყოფოს აღწერილობასთან ერთად, დაჰპირდა ფრანგულ „ქირურგიულ მიმოხილვაში“. ბოლოს დასძინა მანვე: „რომ მცოდნებოდა, ამ შორეულ კუთხეში ვინმე ნაცნობთაგანს ვნახავდი, მაშინ ბაქოსა და თბილისში წასვლას ისევ აქ დარჩენას ვამჯობინებდი, რომ აქ ერთად ცხენით ხეობებში მემოგზაურნა და ამნაირად ერთი კუთხე მაინც გამეცნო აუჩქარებლად და დაკვირვებით. უკანასკნელად, გამოთხოვების დროს ქუთ. რკინის გზის სადგურზე ბ. ტერიემ უთხრა ექიმს ღამბაშიძეს შემდეგი: „უთუოდ გელით პარისში გამოფენის დროს ექიმთა კონგრესზე თქვენცა და თქვენ თანამოძმე აქაურ ექიმთაც; ბინა და სხვა ყოველივე საჭირო მზად გვექნება“.

„კრებული“-ს და „მწყემსი“-ს რედაქციებმა ყველა უცხოელთ სადგურზე მიართვეს შოთა რუსთველის დიდი მხატვრობა, ფრანგულს ენაზე შემდეგი ზედწარწერით: „შოთა რუსთაველი, მე-XII საუკუნის უშესანიშნავესი პოეტი ქართველებისა, რომელმაც თვისი «ვეფხის ტყაოსნით» აღიყვანა უზენაეს წერტილამდე ენა და მწერლობა ქართული. ეს „შედევრი“, ნამდვილი თინათინი ქართველი სულისა და გულის, ღრმად აღბეჭდილი თვითეული ქართველის გულში, უძღოდა მას გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად საუკუნეთა წყვდიადში. დღემდე დაცული სრულის სინარნარითა და სიმშვენიერით, იგი, ორიენტალისტის ბროსეს თქმისამებრ, „ვერც ჭირ-ვარამითა და აოხრებით და ვერც მრავალ უბედურებით, რამაც საუკუნეთა განმავლობაში მრავალი ეროვნული ნაწერები გაუქრო ქართველებს, ვერ იქნა წარხოცილი მათის მეხსიერებისაგან“. (ჟურნ. „აზიატიკი“ აპრილი 1830 წ. გვ. 259).

მცირე ძღვენი სამეცნ. საზოგ. წევრთა ჩვენს ქალაქში გავლის სანახსოვროდ, «მწყემსი»-სა და „კრებული“-ს რედაქციებისაგან. 6-18 სექტ. 1899 წ.

ეს საჩუქარი დიდის სიამოვნებით მიიღეს უცხოელთა და მადლობა შესწირეს ხსენებულ რედაქციებს. ამ უცხოელთა მოგზაურობის შენიშვნები უთუოდ გამოვა ფრანგულს ენაზე. ჩვენ ჩვენის მხრით ვეცდებით შევატყობიოთ ჩვენს მკითხველებს, რასაც იტყვიან ეს მოგზაურნი ჩვენს ქვეყანაზე და ხალხზე.

ქუთაისიდან უცხოელნი გაემგზავრნენ ბათუმისკენ. აქედან იგინი გაემგზავრებიან მარსელში.

ფრიად სამწუხარო არის, რომ ჩვენი საზოგადოება დიდის აღტაცებით ეგებება ქალაქებში მოთამაშე და მომღერალ ქალებსა და კაცებს, რომელთაც ძვირფასი თაიგულებით აჯილდოვებენ და ასეთი მოგზაურების მოსვლაზე კი გარეთაც არ გამოდიან. დიახ, სწორედ შესანიშნავი ინტელიგენცია გვყავს...

სოფლის მღვდელი

წერილი დაკარგული კაციდან.

არ ვიცი, თუ რაგვარად აგიწეროთ ჩემი მწუხარება. ჩემი სული შეწუხებულია. ცხოვრება გამწარებულია. მიზეზი ამგვარი ჩემი მწუხარებისა და შეწუხებისა არის მხოლოდ ერთი გარემოება, რომელ გარემოებასაც ბოლო უნდა მოეღოს თქვენი დახმარებით, ვითარცა მწყემსისა; მე დარწმუნებული ვარ, რომ დასახელებული გარემოება, რომლის მოთხრობაც მე მწადიან, თქვენს გულსაც შეაწუხებს. მწყემსი მაშინ არის კმაყოფილი, როდესაც ცხვრის ფარას ეყურება მისი სალამური; როდესაც ფარა არ არის გაფანტული და გაბნეული. მწყემსი მწუხარებას ეძლევა მაშინ, უკეთუ ფარა ყურს არ უგდებს იმის ტკბილს სალამურს და იქით-აქეთ იქსაქსება. მწყემსი ამ შემთხვევაში გაშმაგებული გარბის გულ-მოღიავებული, ოფლს ქვეშ იწურება და ცდილობს თავი შეუყაროს თავის ცხვრის ფარას. დღეს ყოვლად საჭიროა, რათა თქვენც იმოქმედოთ ამგვარადვე, აიღოთ სალამური, ააკვნესოთ ის ტკბილი ხმით, და ამ ხმით შეუყაროთ თავი სულიერ სამწყსოს, რომელიც უკვე გაფანტულია სხვა და სხვა უცხო და შორს მხარეებში. მაგ. მე მოვხვდი იმგვარ ქართველებშ-, რომელთაც აგერ ათი წელიწადია, რაც სამშობლო ქვეყანა თვალით არ უნახავსთ. ნამეტურ დღეს მრავალი ქართველები მოვიდნენ თავისი სურვილით სახალინის მახლობლად, სადაც დაბორკილ ავაზაკებს გზავნიან და სადაც ბუნება ყინვაზედ უფრო ცივია, და შხამზედ უმწარესი. ახლად მოსულნი კარგად ხედვენ, რომ ივინი ცუდ პირობებში ჩავარდენ, მაგრამ რა-კი მოვიდნენ, ცარიელი და გატყავებული წასვლა სასირცხოდ მიაჩნიათ. ამასთან ამ სამწუხარო გარემოებას ხელს უწყობენ რამოდენიმე ვაჟ-ბატონები, რომელთაც მე გაბედვით ვუწოდებ მოდალატის სახელს; ზოგნი წერილით იტყუებენ ჩვენებს აქეთკენ და ზოგიც ხოლმადებში არიან მოსამსახურედ. ესენი მგზავრობენსახალინიდან ოდესამდე. ოდესაში მყოფობის დროს ისინი ელაპარაკებიან იქაურ ქართველობას, რომ აქედგან რომ ზოგიერთი ყმაწვილები წავიდნენ, მათ დღეს ორასი და სამასი ათასი მან. მოიგესო. მე თვითონ ვიყავ მოწამე, როცა ერთი მეგრელი, გვარად გაბუჩია, ელაპარაკებოდა ასეთ სიტყვებს აქ ვაჭარ გავაშელიშვილს, რომელმაც თავისი ქონება უკვე წააგო და 2000 მან. ვალი დაედო. „მე ასე ველაპარაკე ოდესელ ქართველობას, რომ თქვენ უკვე 200,000 მან. მოიგეთო“, დასძინა გაბუჩიამ. გავაშელიშვილმა გადაიხარხარა: „მტერს თვალი დაუდგებაო“ და გაბუჩიას სიტყვები სასიამოვნოდ მიიღო. ამ სიტყვებმა მე ძრიელ შემაწუხა და მოურიდებლად შეურაცხყოფა მივაყენე. პირველად იწყინა გაბუჩიამ, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა, ბოდიში მოიხადა და დიდი მადლობაც მითხრა სიმართლის თქმისათვის. მაშინ მე ვსთხოვე გაბუჩიას, რომ როცა იგი ოდესმე გაემგზავრება ოდესაში, დაწვრილებით ეამბნა იქაურ ქართველებისათვის აქაური უბედური მდგომარეობა. იგი შემპირდა, მაგრამ არ ვიცი, აასრულა თუ არა დანაპირები. მხოლოდ ქართველების რიცხვი უფრო და უფრო მრავლდება აქ. დღეს აქ ისეთი პირებიც მოდიან, რომელთაც ოდესაში კარგი ვაჭრობა ჰქონიათ. მაგალითებრ ამ დღეებში მოვიდა ხიდისთაველი ქერქაძე, რომელმაც მოიტანა ასამდე ბოჭკა ღვინო, რომელიც აქ ვერ გაყიდა, ვაჭრობა მოინდომა ჯ ვერც ამაში იხეირა. ქერქაძე, როგორც ამბობენ, კარგი ვაჭარი ყოფილა ოდესაში. აქ ის მალე დარწმუნდა, რომ მოატყუილეს. მე ვუსაყვედურე ქერქაძეს, რომ ის სხვის სიტყვას აყვა და სახალინაზე მოვიდა. ამაზე მან აი რა მიპასუხა: „ერთი წერილი როგორ ვერ მოსწერე ქართული გაზეთის რომელიმე რედაქციას, თუ კი იცოდი, რომ ასე გვატყუებდნენო“. ამ საგანზე წერილი მივსწერე „კვალის“, „ივერიის“ და „მოამბის“ რედაქციებს, მაგრამ მათ ჩემი წერილი არ დაბეჭდეს. დღეს მოვიქცევი თქვენდამი, მ. რედაქტორო, და გთხოვთ თქვენი გაზეთის „მწყემსი“-ს საშუალებით დაეხმაროთ ჩვენს ხალხს და შეაგონოთ მას, რომ არ გაუგონოს მატყუარებს და თავის ადგილზე გაჩერდნენ. ამასთან მსურს ერთი ორიოდე სიტყვა ვსთქვა იმ პირების შესახებაც, რომელთაც აქ ორიოდე გროში შეიძინეს, ამ პირებში უფრო საყურადღებო არის ორი ქართველი, რომელნიც თავისი სურვილით მოსულან აქ და რომელთაც შეუძენიათ 2-3 ათასი მანეთი. ეს პირნი დიდი უსარგებლონი არიან. მათ გარეშე იმყოფებიან იმგვარი ქართველები, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელთაც ლუკმა პური ენატრებათ, მაგრამ ეს ვაჟბატონები ამათ სიახლოვეს არ იკარებენ, თავისთან უყენიათ რუსი და ჩინეთლები და ერთს ქართველს იმათ სახლში ან დუქანში ვერ იპოვით; დასჯილთაგანი არის აქ შეძლებული 1-ი ქართველი, გვარად ა. შალამბერიძე; მან თავისი ოფლით და მაცადინეობით შეიძინა ცოტაოდენი ქონება. ბ. შალამბერიძე დიდის სიხარულით ეწევა ყველა ქართველს. მრავალი ქართველი კაცი დაუხსნია ბ. შალამბერიძეს სიღარიბისა და უბედურებისაგან. ყველანი, ვინც კი მის ხელში ჩავარდნილან, დღეს ყველა კეთილ გზას ადგია და შრომობს. უსინიდისობა იქნება, რომ ადამიანმა უარ ჰყოს ბ. შალ—ძის სინდისიერი საქციელი. ვისურვებ, რომ სხვა აქ მყოფ ქართველებსაც მიებაძნოთ ბ. შალამბერიძისათვის და დახმარება აღმოეჩინოსთ თავიანთ მოძმე ქართველებისათვის, რომელნიც აქ უგზო-უკვლოდ დაეხეტებიან. ამასთან ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ სამწუხარო მოვლენას: აქ დასასჯელად გამოგზავნილი ქართველები დიდის ამბით ეგებებიან ხოლმე აქ ახლად მოსულ ქართველებს და უნდათ შეიტყონ თავისი ძვირფასი სამშობლოის მდგომარეობა. ახლად მოსულნიც თავიანთ ცუდ საქციელს ფარავენ და თავის გასამართლებლად გაიძახიან: „ჩვენი ქვეყანა გადაბრუნდა, იქ ცხოვრება არ შეიძლება, იქიდგან ჩვენ გვაგდებენ და სხვებს აყენებენ ჩვენს ალაგზეო“. აქ მცხოვრები დასჯილი ქართველები იმის ცდაში არიან, რომ რაიმე გზით თავის საყვარელ სამშობლოში დაბრუნდნენ. ყველას ეს სურვილი ასულდგმულებს. როცა მათ ასეთი სამწუხარო ამბები ესმისთ ახლად მოსულ ქართველებისაგან, თავის სამშობლოზე ფიქრს თავს ანებებენ, ეძლევიან სიმთვრალეს და გარყვნილებას და ხელის ძალათი იმოკლებენ სიცოცხლეს...

ერთი დაკარგულთაგანი.

ახალი ამბები და შენიშვნები.

როგორც მოსკოვის სასტატისტიკო კომიტეტის მიერ შეკრებილ ცნობებიდგანა სჩანს, 1899 წელს ქალაქ მოსკოვში სულ 34,001 ბავშვი დაბადებულა —17,431 ვაჟი და 16,570 ქალი. ამათში კანონიერად შობილი ყოფილა 12,620 ვაჟი და 11,871 ქალი, ხოლო უკანონოდ შობილი 4,841 კაცი და 4,699 ქალი. ქორწინება მომხდარა 5,676.

საერო განათლების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ საქალაქო სასწავლებლებთან დაარსებულ იქმნას სამეტეოროლოგიო სადგურები. ამ სადგურებში თვით მოსწავლეებმა უნდა იმუშაონ.

ხარკოვის საგუბერნიო ერობის გამგეობაში სულ მოკლე ხანში ჭლექით ავად გამხდარა 20-მდე მოსამსახურე კაცი. ჭლექი შეყრიათ იმ მოსამსახურეთ, რომელთაც ხშირათ დასჭირვებიათ აღება საქმეებისა გამგეობის არხივიდგან. როცა მკურნალთ და გამგეობის ადმინისტრაციას არხივში საქმეები გაუშინჯავთ, ყველა ქაღალდები ჭლექის ბაცილებით ავსებული უნახავთ. გამგეობაში, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ამ დიდის ხნის წინად ჭლექიანი ავადმყოფი თურმე მსახურებდა, რომელსაც არხივში ქაღალდების ძებნისა და გადაფურცვლის დროს ჩვეულებადა ჰქონია თითების დასველება ენით. ამის გამო არხივის ყველა ქაღალდზედ ჭლექის ბაცილები გადასულა.

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა შემდეგი მოწერილობა გაუგზავნა ოლქის და მაზრის უფროსთ: კანონის ძალით სახელმწიფო და საერო გადასახადებისაგან თავისუფალია ის კომლნი, რომელთა წევრნიც სალდათათ არიან გაყვანილნი და აგრეთვე ის საზოგადოებებიც, რომელთაც ეს კომლნი ეკუთვნიან. მაგრამ ადგილობრივ სამხედრო ბეგარის საკრებულოებს ჯარში წაყვანილთა სია დროზე არ წარმოუდგენიათ და ამიტომ გადასახადებისაგან არ არიან განთავისუფლებული. ამ ჟამათ მათი განთავისუფლების შესახებ უმაღლეს მთავრობასთან შუამდგომლო-

ზაა აღძრული და ამიტომ, ახალ განკარგულებამდე, იმათ ნუ გადაახდევინებთ დარჩენილ „ნეფორმკებსო“.

—

სახალხო განათლების მინისტრი შემდეგი ცირ-კულიარით მიმართავს სამოსწავლო ოლქების მზრუნველთ: მასწავლებლებსა და მშობლებთ შორის დიდი ხანია ისმის საჩივარი ღიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლების შესახებ; მიზეზათ ასახელებენ: სკოლების ოჯახებიდან დაშორებას, ბიუროკრატიული ხასიათის მიღებას, მშრალ ფორმალიზმის გამოდგომას, რომლებიც სკოლებში ჰბადებენ სწავლის უსიცოცხლო მიმდინარეობას, საიდანაც ცხადია, წარმოდგება ყალბი დამოკიდებულება მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის....

ამასთან, რუსული ენის, რუსეთის ისტორიის, რუსული ლიტერატურის და გარშემორტყმულ ბუნებრივი წრის ფერკმრთალი სწავლება, სკოლასართმევს სიცოცხლეს და ეროვნულ ხასიათს. მომეტებული დრო და მეცადინეობა მიჩენილი აქვს კლასიკურ ენების სწავლას.—ღიმნაზიებიდან საუნივერსიტეტოთ გამოშვებული მოსწავლეების მოუმზადებლობა, რეალურ სასწავლებიდან სპეციალური საგნების უცოდინარობა და სხვა-და-სხვა... გვაიძულებს გავეცნოთ უფრო განათლებულ და გამოცდილ მასწავლებლების მოსაზრებას ამ რთული კითხვების შესახებ. ამიტომ თქვენ გთხოვთ დროით აირჩიოთ თითო ოლქიდან 3—4 განათლებული დ გამოცდილი კაცი, რომ მათ მიიღონ მონაწილეობა იმ კამმისიაში, რომელიც პეტერბურღში იქნება მოწვეული ამ წლის ზამთარში. ასეთ პირთა მოვალეობა იქნება: ყოველის მხრით გარჩევა თანამედროვე საშუალო სკოლების სწავლება-წყობილებისა, სწავლების დამაბრკოლებელ მიზეზების აღმოჩენა და ამათი თავიდან ასაცილებლათ საშუალების ჩვენება. კამისია იქონიებს მსჯელობას, საგნები ისე იქნეს განაწილებული, რომ მოსწავლეებს მეტი დრო დაურჩეს თამაშობისა და ფიზიკური ვარჯიშობისათვის. მოსწავლეების ჯანმრთელობისათვის, თუ საჭირო იქნება, ზოგიერთი საგნების მსხვერპლობაც შეიძლება, რადგანაც ეს უფრო მიგვახწევინებს სწავლების მიზანს.—ამასთანავე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ზნეობრივ აღზრდას და სხვა...

ფილოსოფოსთა აზრი, დედაკაცის შესახებ წარმოთქმული.

1. შვილოსნობა—უმაღლესი საგანი და დანიშნულებაა თავისუფალის დედა-კაცისა (ლიკურგი).

2. დედა-კაცის საგანი—ბავშვების აღზრდა და მეოჯახეობაა (ფენელონი).

3. დედა-კაცი—დედაა თავდაპირველად (ჰეტე).

4. დედა-კაცი—წყაროა ბოროტებისა (სოკრატი).

5. დედა-კაცი—ბუნების ცდომილებაა (არისტოტელი).

6. დედა-კაცი—ბუნების მშვენიერი ნაკლოვანებაა (მილტონი).

7. რაც უნდა სიმდიდრე მომცენ, მაინც დედაკაცს ჩემს კოდში არ მივიღებ (დიოგენი).

8. დედა-კაცი—იგივე ემაწვილია, მაგრამ უუსავარლესი ემაწვილი კია (მონტესკიე).

9. შეყვარებული დედა-კაცი ან მონაა და ან ბოროტია (ვოვენარგი).

10. დედა-კაცი შხამია, რომლით მოწამლა სასიამოვნოა (სულთან-ოლმეჯიდ).

11. რაც ცაზე ვარსკვლავებია, იმოდენივე სიცრუეა დედა-კაცის გულში (ჰპოკრატი).

12. სიყვარული ცოდვათ არ რაცხს არც ერთის, არც მრავალს და არც სუყველას შეყვარებას (ლერმონტოვი).

13. დედა-კაცი გასართობი საგანია (ჟან-ჟაკ-რუსსო).

14. დედა-კაცი მხატვრობის ნაყოფია (ლესსინგი).

15. უყვარდეს და იყოს შეყვარებული ბუნებითი დანიშნულებაა დედა-კაცისა. დედა-კაცის სიყვარული ლამპარია, ლამპარი საოჯახო კერისა, იგი აკვანია მომავლისა, იგი ტრაპეზია (მიშლე).

16. დედა-კაცის სიყვარული ჩვენთვის დიდი და შეუდარებელი საქმეა; იგი ისეთა ჩვენთვის, როგორც მარილი ხორცისთვის: აცხოველებს გულს და იცავს მას სიდამპლისაგან. (ჰიუგო).

17. დედა-კაცი მფარველი ანგელოზია მამა-კაცისთვის ყველა ცხოვრების კიბეზე, იგი წარმომადგენელია მსოფლიო სილამაზისა და სიკეკლუცისა, იგი ნუგეშის მცემელია ცხოვრების უბედურებაში და მწუხარებაში, სიხარული და ამპარტავნობაა კაცისთვის (ვის. ვრ. ბელინსკი).

შეწირულებანი.

I

მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი პატივ-ცემული გაზეთის «მწყემსი»-ს საშვალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ როგორც მე, აგრეთვე რწმუნებულ ჩემდამო სამრევლომ იმ პირთ, რომელთა კეთილ ინებეს და შემოსწირეს რწმუნებულ ჩემდამო ეკლესიებს სხვა და სხვა საეკლესიო ნივთები. აი სია შემომწირველთა და მათ მიერ შემოწირულ ნივთებისა:

1) ჭუეპის შტატის მაცხოვრის ეკლესიას შემოსწირეს: დანიელ იაკობის ძემ მერკვილაძემ დაფარნები, ღირებულნი 5 მანეთად; გაბრიელ ბაკურაძემ ერთი რწყვილი ტრაპეზზედ დასადგმელი შანდალი, ღირებული 5 მან; მელიტონ დ. ბაკურაძემ სამი არშინი ქეჩა, ღირებული 3 მ ნ. და 50 კაპ; აზნ. ტარიელ ქორქოლაძის მქვრივმა ნინო დივნის ასულმა ოთხი არშინი ფარჩა სამკვეთლოზე გარდასაფარებელი, ღირებული 4 მან. 80 კაპ; აზნ. ვარდენ ტარიელის ძემ ქორქოლაძემ ერთი კანკელი, იგივე ხომლი, ღირებული 5 მანეთად.

2) ჯონიის წმ. გიორგის ეკლესიას შემოსწირეს: გლეხის ვ ვლე ლომთაძის მეუღლემ ეფროსინამ ჯვარი, ტრაპეზზედ დასასვენებელი, ღირებული 5 მან; გლეხმა ხარიტონ ქრისტესას ძემ ლომთაძემ დაფარნები, ღირებულნი 4 მ ნ; და 50 კაპ; გლეხმა მიხეილ გრიგორის ძემ ლომთაძემ ერთი ტრაპეზზედ დასადგმელი შანდალი, ღირებული 2 მან. და 50 კაპ; გლეხმა ტ რიელ დიმიტრის ძემ ჩიტაძემ ერთი ტრაპეზზედ დასადგმელი შანდალ ი, ღირებული 2 მან. და 50 კაპ. და ორი ხატი, ერთი მაცხოვრისა და ერთი ღვთისმშობლისა, ღირებული 3 მან. გლეხის ეგნატე ბუხაიძის ქვრივმა მელანამ ერთი საცეცხლური, ღირებული 3 მან.

3) შუეერის მაცხოვრის ეკლესიას შემოსწირა გლეხმა სპირდონ მიქელის ძემ ლოსაბერიძემ ერთი რწყვილი შანდალი, ღირებული 30 მან.

სოფლის ჭუეპის მაცხოვრის ეკლესიის მრევლის მდვდელი ილარიონ ლოსაბერიძე.

II.

მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ, რომ თქვენი გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადო მოწამეთის მონასტრის მღ.-მონაზონს პაფნუტის, რომელმაც საკუთარის შრომითა და საფასით შესძინა დვალიშვილების წმიდის გიორგის ეკლესიას გუმბათზედ აღ ამართავი რკინის ჯვარი, ღირებული ორმოცდა ხუთ მანეთად (45 მან.), და ამავე სოფლის ზედმიწერილ ეკლესიას ორი ხატი, გაკეთებული ათონის მთაზე, 1 ღვთის-მშობლის და 2-რე მაცხოვრისა, ღირ. 400 მ. ამავე ზედმ-წერილ ეკლესიას რკინის აღსავლის კარები, ღირებული ორმოც მანეთად (40 მ.). ვისურვებ, რომ სხვებსაც მიებაძოს ამ კეთილის შემომწირველ მღვდელ-მონაზვნის მაგალითისათვის.

მღ. მიხეილ საბაშვილი

III.

დიდ მადლობას ვუძღვნი იმ პირთ, რომელთაც შემოსწირეს რწმუნებულს ჩემდამო ახლად აღშენებულს მარელისის შტ-ტის მაცხოვრის ეკლესიას ნივთები და ფული. აი შემწირველთა სია: ტერ. მანჯავიძისამ შემოწირა ადგილი (სასაფლაო), ღირებული 40 მან.; მოვაჭრე ტ. ტაბატაძემ დიდი ჭაღი, ღირებული 26 მან.; მღვ. იაკიმე გორგაძემ ერთი წყვილი ბაირაღი (დროშები), ღირებული 20 მან.; დ. ფცქილაძემ სახარება—20 მ.; მოვაჭრე მაქსიმე მაღრაძემ ტრ:პეზის შესამოსი ფარჩა—18 მ.; მღვ. ი. გორგაძის მეუღლე რუსუდან გიორგის ასულმა ფარჩის დაფარნები და ტრაპეზის ჯვარი—15 მან.; მედავითნემ იაგ. მაღრაძემ სანაწილე—15 მან.; ესტატე მაღრ:ძემ გარდამოხსნა—13 მ.; დესპინე მაღრაძისამ ტრაპეზის შ.ნდლები—10 მ.; რ. ჩიჭავაძემ დიდი შანდალი—10 მ.; გრიგოლ ვეფხვაძემ—15 მან. ივ. ტაბატაძემ საწიგნე—13 მ. ოლღა მაღრაძისამ 5 მან. და ერთი სკამი—2 მ. მოვაჭრე სიკო მ:ნჯავიძემ სამოციქულო—5 მან და 15 კ. მედავითნე გიორგი ვეფხვაძ:მ დიდი ლოცვანი 3 მან. და სამი მანეთი ფულ:ად. ნატალია მაღრ:ძისამ 5 მ. იდ. მაღრაძისამ ჟამნი, დავითნი და ლოცვანი, ღირებულნი 3 მ. ს. კალა-

ტოზიშვილმა ანალოღია—3 მ. პარმენ მაღრაძემ პატარა სტოლი—3 მ. მართა დეკანოზისამ—3 მ. მღვ. კ. ანთაძის მეუღლემ ალექ. მოსეს ასულმა საცეცხლური—2 მ. მღვ. დ. ანთაძის მეუღლემ მაკრინე ოტიას ასულმა ხატები—2 მ., მარიამ კ.-ფხვაძისამ—2 მ., დ. ინასარიძემ დავითნი—2 მ., ტასია მაღრაძისამ—2 მ., ხაფია მაღრაძისამ—2 მ., მინადორა დევდარიანისამ—2 მ., არსენ ნამიჩეიშვილმა წერაქვი და ნიჩაბი—2 მ., ედ. მაჭავარიანისამ ღვთის-მშობლის ხატი—2 მ., ანას. დევდარიანისამ—1 მ., ოლღა გურამიშვილისამ 1 მ., ნატ. მაღრაძისამ—1 მ., ეკ. მაღრაძისამ—1 მ., მზ. მაღრაძისამ—1 მ., ტასია მაღრაძისამ—1 მ., მართა მაღრაძისამ—1 მ., ს. შვილიძისამ—1 მ., ანდ. ნოქენკომ—1 მ., თ. მოსიძემ—1 მ., ჩაქფერაძემ—1 მ., ილ. არევაძემ—1 მ., ნინო გაჩეჩილაძისამ—1 მ., ეკ. მაღრაძისამ—1 მ., ჩურინმა 50 კაპ., სისოვმა—50 კაპ., ფოგელმა—40 კ., დ. ტუუშელაშვილმა—20 კ., ფარნა ბორესიამ—20 კ., და მღვ. კ., ანთაძემ პატარა კანდელი—1 მ., და 20 კაპ., და სრულიად 295 მ., და 15 კ., გარდა ამისა სხვა-და-სხვა პირებმა შემოსწირეს 170 მ. სრულიად 465 მ. და 15 კაპ.

ს. მარილისის მაცხოვრის ეკკლესიის მრევლის მღვდელი კ. ანთაძე.

მიიღება ხელის-მოწერა 1899 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს“-ზე

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ჟურნალის ფასი:

12 თვით «მწყემსი» 3 მ.	6 თვით «მწყემსი» 2 მ.
— ,, რუსული ,, 3 მ.	— ,, რუსული ,, 2 »
— ,, ორივე გამოცემა 5 »	— ,, ორივე გამოცემა 3 »

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვირილაში, აგრეთვე ქუთაისშიაც. თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან. ფოთში—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან; საჩხერეში—ყარაისან ჩხეიძესთან; ახალციხეში—დეკანოზ დ. ხახუტოვთან; ახალსენაკში—ბლაღოჩინ მამა არისტარქ კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემ. სამ მანეთად.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვირილაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

მდგომარე წლის ხელის მომწერთათვის დანიშნულია საჩუქრად ხახულის ღვთისმშობლის ფოტოგრაფიული ნახატი.

და ჩვენი მოღვაწის ბატონის

აკაკის სურათი,

ბრისტოლის ქაღალდზე დაბეჭდილი.

ზემოაღნიშნულ საჩუქრებს ხელის მომწერნი მიიღებენ ფულის შემოტანისათანავე.

შინაარსი:

სალიტერატურო განყოფილება: „მლოცველები მთელი ღამე ცეკვავდნენ, მღეროდენ და დროს ატარებდენ.—სად და როგორ იზრდებიან ჭეშმარიტნი მწყემსნი?—„ხუცური თუ მხედრული?“—საფრანგეთის გამოჩენილნი ექიმები თოფურიას საავადმყოფოში.—წერილი დაკარგული კაციდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.—ფილოსოფოსთა აზრი, დედაკაცთა შესახებ წარმოთქმული.—შეწირულებანი. განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 15 сентября *1899 г.* ✦ *Цензоръ прот. Е. Еліевъ.*

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.